საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის ოქმი

შეხვედრის ოქმი №1

17 იანვარი 2023

მიმდინარე წლის 17 იანვარს, ონლაინ ფორმატში, Zoom პლატფორმის გამოყენებით გაიმართა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ საბჭოს წევრები, ცენტრის დირექტორის მოადგილეები და ცენტრის შესაბამისი სამსახურების წარმომდგენლები.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების" (შემდგომში - დებულება) 5[1] მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად შეხვედრას თავმჯდომარეობდა რუსუდან სანაძე. საბჭოს შეხვედრაზე განსახილველად წარმოდგენილი იყო ერთი საკითხი - ბოლონიის პროცესის კოორდინირების ფუნქციის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის გადაცემის საკითხი და ამ მიზნით, დებულებაში ცვლილების ინიცირება.

ცენტრის დირექტორის მოადგილე, ლაშა მარგიშვილი მიესალმა საკოორდინაციო საბჭოს წევრებს და გააცნო შეხვედრაზე განსახილველი თემა, რომელიც ეხებოდა ცენტრის დებულებაში ცვლილების შეტანას, ბოლონიის პროცესის კოორდინირების ფუნქციის სამინისტროში გადატანის თაობაზე. ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ საქართველო ბოლონიის პროცესს შეუერთდა 2005 წლიდან. პროცესის დაწყებიდან დღემდე ცენტრი ბოლონიის პროცესის ფარგლებში მიმდინარე ძალიან ბევრ აქტივობაშია ჩართული, ხშირ შემთხვევაში ეს ჩართულობა მოითხოვს განათლების პოლიტიკის დონეზე გადაწყვეტილებების მიღებას, ან მზაობის დაფიქსირებას, რაც ცდება ცენტრის უფლებამოსილებას, მანდატს და მოითხოვს პროცესში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ჩართულობას. აქედან გამომდინარე, სამინისტროსთან შეთანხმებით, ცენტრმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ უფრო მიზანშეწონილია ამ პროცესის კოორდინაციის ფუნქცია საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს გადაეცეს და ცენტრი ამ პროცესში მონაწილეობას მიიღებს თავისი მანდატისა და უფლებამოსილების ფარგლებში. ლაშა მარგიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ბოლონიის პროცესის ფარგლებში მუშაობა მიმდინარეობს ისეთ საკითხებზე, რომელთა რეგულირება პირდაპირ არის დაკავშირებული ცენტრის უფლებამოსილებებთან, მაგალითად: უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება, კვალიფიკაციების ჩარჩოსა და კლასიფიკატორის განვითარება, უმაღლესი განათლების აღიარება და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ბოლონიის პროცესის, როგორც კოორდინაცია, ასევე მასში აქტიური მონაწილეობა მოითხოვს საკმაოდ დიდი დროსა და რესურსებს. ამ მიზნით, ცენტრის მხრიდან რესურსები გამოყოფილი იყო და ასეც გაგრძელდება. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ფუნქციის ფარგლებში ცენტრი აქტიურად ესწრებოდა სამუშაო შეხვედრებს, ავსებდა შესაბამის ანგარიშებსა და კითხვარებს, შეიმუშავებდა სამოქმედო გეგმებსა და ახდენდა მათ პერიოდულ გადახედვასა და მონიტორინგს.

ამასთან დაკავშირებით, საკოორდინაციო საბჭოს თავჯდომარემ, რუსუდან სანაძემ დასვა კითხვა, ის პროცესები, რომლებშიც განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ჩართული იყო მანამდე, მათი კოორდინაციაც გადაეცემა სამინისტროს, თუ მხოლოდ ინიცირების დონეზე იქნება გაკეთებული სამინისტროს მხრიდან და დანარჩენი ფუნქცია-მოვალეობები კვლავ ცენტრში დარჩება. საპასუხოდ, ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ მხოლოდ და მხოლოდ ბოლონიის პროცესის სამუშაო ჯგუფების კოორდინაციის ფუნქცია გადაეცემა სამინისტროს, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობა, როგორებიცაა: ENQA, EQAR, CEENQA და განათლების ხარისხის საერთაშორისო სააგენტოებთან თანამშრომლობას და კოორდინაციას, ბუნებრივია მთავარ განმახორციელებლად რჩება კვლავ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

საბჭოს თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა. საბჭოს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი კენჭისყრაზე დაყენებულ საკითხს.

მომხრე 9

წინააღმდეგი 0

საკოორდინაციო საბჭოს თავჯდომარე:

რუსუდან სანაძე

საკოორდინაციო საბჭოს სხდომის მდივანი:

თეა გულუა

დრო/Time	განსახილველი საკითხი/ Discussion topic	მომხსენებელი/ Presenter	პოზიცია, ორგანიზაცია/ Position, Organization
15:00-15:05	მისალმება Introduction	თამარ მახარაშვილი Tamar Makharashvili ლაშა მარგიშვილი Lasha Margishvili კახაბერ ერაძე Kakhaber Eradze	დირექტორი, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი Director, National Center for Educational Quality Enhancement დირექტორის მოადგილე, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი Deputy Director, National Center for Educational Quality Enhancement დირექტორის მოადგილე, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი Deputy Director, National Center for Educational Quality Enhancement
15:05-15:15	ბოლონიის პროცესის კოორდინირების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის გადაცემის საკითხი და შესაბამისად, ცენტრის დებულებაში ცვლილება Topic on the Transition of the Coordination of the Bologna Process to the Ministry of Education and Science of Georgia and, accordingly, the change in the Statute of the NCEQE	ლაშა მარგიშვილი Lasha Margishvili	დირექტორის მოადგილე, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი Deputy Director, National Center for Educational Quality Enhancement
15:15-15:25	კითხვა-პასუხი/ Questions and Answers		
15:25-15:30	სამუშაო შეხვედრის შეჯამება/ Wrap Up		

დანართი 2: საკოორდინაციო საბჭოს წევრები:

საკოორდინაციო საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს შემდეგი წევრები:
ა) **რუსუდან სანაძე** -საკოორდინაციო საბჭოს თავჯდომარე;
ბ) **კაი ეტზოლდი** - -საკოორდინაციო საბჭოს წევრი;
გ) **შალვა მეკრავიშვილი** - -საკოორდინაციო საბჭოს წევრი;
დ) **ირმა ქურდაძე** - -საკოორდინაციო საბჭოს წევრი;
ე) **თეა გულუა** - -საკოორდინაციო საბჭოს წევრი;
ვ) **ნათია ჯოჯუა** - -საკოორდინაციო საბჭოს წევრი;
ზ) **მაია შუხოშვილი** - -საკოორდინაციო საბჭოს წევრი;
თ) **ზაზა ფურცელაძე** - -საკოორდინაციო საბჭოს წევრი;
ი) **კახაბერ ჭელიძე** - -საკოორდინაციო საბჭოს წევრი;
საკოორდინაციო საბჭოს სხდომას არ ესწრებოდნენ:
ა) **ჰელი მატისენი** - -საკოორდინაციო საბჭოს წევრი;
ბ) **ანასტასია ქიტიაშვილი** - -საკოორდინაციო საბჭოს წევრი;
გ) **მაკა აბულაძე** - -საკოორდინაციო საბჭოს წევრი; სხდომის მდივანი